სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეორეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

სახალხო თეატრი

მიხეილოვის ქუჩაზედ საზაფხულო თეატრი მადერის ბაღში (იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) კვირას, 9 აგვისტოს, ზ. მ. საფაროვი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

I

## მზის დაბნელება საქართველოში

ნამდვილი კომედია სამს მოქ. ანტონოვისა.

## დივერტისმენტი ლეკური

დასასრულ იქნება ნაჩვენები დჟონ მარისისაგან, სინემატოგრაფიული ლიუმერისა ბუნდოვანი სურათები.

ადგილების ფასი: 10 კაპ. მანეთ ნახევრამდი

დასაწყისი 9 1/2 საათზედ.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ზუბანოვის საგარაკოში)

სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—27) ე. ჩხარტიშვილი




ღვინის სარდაფი

## „იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## იყალთო

ბოთლი **20** კაპ. ვიდრე **1** მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
## „ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—11)

## გაფრთხილება

რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ჩემი ფირმის ეტიკეტს (წარწერას) ყალბად ბეჭდავენ სხვა მექარხნეები, ამიტომ ვსთხოვ ჩემს მუშტრებს, რომ ყურადღება მიაქციონ ჩემს გვარს **ნ. ბოზარჯიანცი (Н. Бозарджіанцъ).**

პატივისცემით ტფილისის თამბაქოს მექარხნე

(5—1) ნ. ი. ბოზარჯიანცი

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
ღარიბთა სამკითხველოს
ფონდისთვის
გამართული იქნება

## ვაჭრობა-ბაზრობა

დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.

(12—7) ელენე ჯინოშვილისა

იყიდება
„ცნობის ფურცლის" რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | კ. |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 3 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას. (30—1)

იბეჭდება და მალე გამოვა

**გასაყიდად**

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდა, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30 1)

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

## მარინესი

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

**ფასი ერთი შაური**

(10—3)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

* * * ქართული დრამ. საზოგ. გამგეობის მამართ. ეს მეორე თვეა, რაც ახალი გამგეობა აირჩა. ახალი გამგეობისა დღემდე არა ისმის რა, თუმცა მოსასმენი ბევრი რამ უნდა ყოფილიყო. კრებისაგან გამგეობას დავალებული ჰქონდა მოელაპარაკნა სააზნაურო კომისიასთან თეატრის შესახებ და თანახმად გიორგი ქურულის წინადადე-

ისა თეატრის შენობა და მისი წარმოება ჩაეგდო ხელში; ხოლო კომისიასთან გამგეობა დღემდე არც კი ყოფილა.

კრებისაგანვე დრამატიულ საზოგათოების გამგეობას დავალებული ჰქონდა რეპერტუარის მომზადება და ამისათვის, თანახმად ვ. გუნიას წინადადებისა, პრემიების დანიშვნა, რათა საზოგადოებაში აღეძრათ პიესების მომზადების სურვილი, ხოლო როგორც ვიცით, ჯერჯერობით გამგეობას ყურიც არ გაუბერტყნია ამ საგანზე.

კრებისაგან ჰქონდა დავალებული გამგეობას, რომ დამდეგი სეზონისათვის დასი შეედგინა, რისთვისაც უნდა მოეწვივნა ძველი მსახიობნი და ახლებიც გამოეძებნა, მაგრამ ახლებს ვინ ჩივის, როდესაც ძველებისთვისაც კი ვერ მოუყრიათ თავი და არც ერთთან ჯერჯერობით მოლაპარაკება არა აქვთ დაწყებული, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენები ერთს თვეში უნდა დაიწყოს.

ეხლა ნება-უნებლიედ ებადება კაცს კითხვა: არსებობს თუ არა მართლა გამგეობა და თუ არსებობს, რატომ არ იჩენს სიცოცხლეს, არსებობის ნიშანს?..

ჩვენ გვგონია, რომ ახალი გამგეობა არც კი არსებობს, რადგან როგორც გაზეთებში წავიკითხეთ, დროებით ადმინისტრაცია ამოურჩევიათ გამგეობის წევრთ, ვინაიდგან ამორჩეულ შვიდ წევრთაგანში მხოლოდ ხუთი კაცი გამოცხადებულა და ამ ხუთში დროებით ამოურჩევიათ: თავმჯდომარედ თავ. ნ. თუმანიშვილი და მდივნად გ. თურქესტანიშვილი.

ეგ დროებით ამორჩეულები მაინც რატომ ხმას არ იღებენ, რატომ არ იწვევენ წევრებს. ან იქნება წევრები ტფილისში არ არიან? სამწუხაროდ, ტფილისში არ არიან და არც იქნებიან. როგორც ისმის, ბ-ნი ვასილ მანსვეტაშვილი, რომელიც კრებამ ერთხმად აირჩია, ტფილისში არც-კი იქნება. დანარჩენი ზოგი სოფლად არის საავარაკოდ, ზოგი „ოტპუსკში“ და ამასობაში საქმე ფუჭდება...

ჩვენ სწორედ გაოცებულნი ვართ, რომ ისეთი დარბაისელი პირნი, როგორც ნ. ხიზანაშვილი, ნ. ჯორჯაძე და სხვანი, ასე მჩატედ ეკიდებიან იმ საქმეს, რომლის პატრონობა და წინ გაძღოლა საზოგადოების დავალებით იკისრეს მათ!..

ახალი გამგეობა ნუ ივიწყებს, რომ სექტემბრის დასაწყისში, ან ამ თვის დამლევს საზოგადო კრება უნდა შეჰყაროს და მოახსენოს მას თავისი ნაღვაწი, ესე იგი დამდეგი წლის სავარაუდო მოქმედება, ანგარიში და სხვა.

ახალი გამგეობა ალბად „ჰფიქრობს, რომ წინანდელი კრება მასხრობა იყო და ამიტომ გამგეობის წევრნიც მასხრობენ!.. ვერაფერი ამბავია თქვენმა მზემ და არც დროა შეწყობილი მასხრობისათვის!..

ბ-ნო რედაქტორო! იმედი მაქვს ამ წერილს დაბეჭდავთ (თუმცა თქვენც ბრძანდებით ახალ გამგეობის წევრად) და მით ხელს შეუწყობთ ქართული თეატრის საქმეთა გამორკვევას.

დრამ. საზოგ. წევრთაგანი

⁂ **ქუთაისის ქალაქის დადგენილებანი.** როგორც „ივერია“ იუწყება ქუთაისის საბჭოს დაუდგენია: 1) წყაროს წყლის გასაყვანად გამოკვლეულ იქმნას ქუთაისის ახლო-მახლო ადგილები და ეს გამოკვლევა ინჟინერ სიმონოვიჩს მიენდოს. 2) დაარსდეს საკუთარი აფთიაქი, რათა ღარიბთა და უმწეოთ მუქთად დაეთმოს წამალიო და 3) გაიმართოს ქალაქის სამკურნალო ოცდა ათი ლოგინით. ყველა ამ საკეთილო დაწესებულებისათვის ქალაქს, რა თქმა უნდა, ფული არა აქვს და მიტომ გამგეობის წინადადებით გადაუწყვეტიათ მთავრობას ვსთხოვოთ უსარგებლო სესხიო. ღმერთმა ხელი მოუმართოსთ!

⁂ **მთავარ-მართებლის გამგზავრება.** გენერალ-ადიუტანტი თავ. გოლიცინი დღეს მიდის მოსკოვში იმპერატორის ალექსანდრე მეორის ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად.

⁂ **ქუთაისის ქალაქის თავი** ბ. ლოლუა 6 აგვისტოს გაემგზავრა მოსკოვში ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად.

⁂ **ხმოსნების არჩევა ბათომში.** ოქტომბრის დამლევს ბათომში მოხდება ახალი ხმოსნების არჩევანები.

⁂ **მადნები.** ფრანგული ჟურნალი „La Russie“ გვატყობინებს, რომ სოხუმის მხარეში, ზღვის ახლო მახლო, აღმოაჩინეს რკინის და ქვა-ნახშირის მადნებიო.

⁂ **დიდუბელთა საამხანაგო საადებ-მიცემო სავაჭრო.** ჩვენ შევიტყეთ, რომ დიდუბელ მცხოვრებთ განუზრახავთ გახსნან საადებ მიცემო სავაჭრო თავიანთთვის, რომლის წესდება უკვე შემუშავებულია.

⁂ **სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის შუამდგომლობა.** უფროსმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ მოემატოს ჯამაგირი ხარკის ამკრეფთ და დაუნიშნოს მათ 22—40 მანეთამდე; აგრეთვე იმის შესახებ, რომ დაარსდეს კიდევ ერთი თანამდებობა ცხენოსან დარაჯისა, რომელმაც უნდა თვალ-ყური ადევნოს ჩარჩებს,—დასასრულ კიდევ იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნეს სავალდებულო დადგენილებანი ჩარჩების დევნის შესახებ.

⁂ **გუდაუთისა და ოჩამჩირას** განყოფილებათა მცხოვრებთ თხოვნა წარუდგინეს ოლქის ადმინისტრაციას იმის შესახებ, რომ კერძო პირთ უფლება მიეცეთ შეიძინონ აღნიშნულ ადგილებში მიწები შენობების ასაგებად.

⁂ **კაცის დახრჩობა წყალში.** გორის მაზრაში წყალში დაიხრჩო შორაპნის მაზრის სოფ. ნაფისის მცხოვრები ისიდორე თხელაძე.

⁂ **მკვლელობა.** ბორჩალოს მაზრაში, დისიხის სასოფლო საზოგადოებაში, ყარსის რკინის გზის მე-121 ვერსზე, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებმა ივანე ბაქრაძემ მოჰკლა ბერძენი, ქ. ტფილისის მცხოვრები, გრიგოლ შიოევი.

⁂ **უბედური შემთხვევა.** 6 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე, შვიდი მუშა, (სამი სომეხი, ოთხი სპარსელი), რომლებიც მუშაობდნენ ახლად აგებულ შენობაზე, ბარონის ქუჩაზე, ლორის-მელიქოვის მემკვიდრეთა სახლის ეზოში, სადაც მოთავსებულია ფოსტატელეგრაფის კანტორა, გადმოვარდნენ ოთხი საჟენის სიმაღლიდან. ექვსი მათგანი არ დაშავებულა საშიშრად, მეშვიდემ კი, ასატურა მანუკიანმა, ძლიერ გაიტეხა თავი, იღრძო გვერდები და ერთი მუხლი. გადმოვარდნის მიზეზი იყო დამპალი ხეები, ანუ უკეთ ვსთქვათ, ტეხნიკური ზედამხედველობის უვარგისობა.

⁂ **უწყლობა სურამის ბაღში.** ჩვენ სურამიდან გვწერენ, რომ ადგილობრივ ბაღში, „პარკად“ წოდებულს, გამართულია ბუფეტი-სამზარეულო... კუჰნაო. კვირაში ორჯერ სამხედრო მუსიკა უკრავს. ბაღში ვინც შევა თითო აბაზი უნდა იხადოს, ან ზაფხულში სამი მანათი. ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი დაიარება, მაგრამ ერთი ზნე სჭირთ აქაურ მოიჯარადრეთ, ბაღში დასალევ წყალს არ ინახავენ. ბავშვს რომ მოსწყურდეს, უნდა შინ წაიყვანოთ, რადგან ბუფეტში წყალი არ არის და რომ მოსთხოვოთ, უდიერად გიპასუხებენ, ლიმონათი იყიდე და ის დაალევინეო. სასურველია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს, რადგან მთავრობის განკარგულებით მთელს იმპერიაში ყველა ბუფეტის პატრონები მოვალენი არიან დასალევი წყალი იქონიონ, თორემ კანონის ძალით დაისჯებიან.

⁂ **ქ. თელავი.** მკვლელობა. კვირას, 2 აგვისტოს, გაემგზავრა ქ. თელავიდამ მ. საყვარელიძე, რომელსაც თან წაეღო ხაზინიდან აღებული 3000 მანეთამდის ფული, რომელიც უნდა დაერიგებინა თავის მუშებისათვის, რომელთაც ამუშავებდა დაღესტნის ახალ გზაზე. მ. საყვარელიძეს მეორე დღეს თავისივე მომუშავე ლეკები დახვედროდნენ, ესროლათ თოფი და იქვე მოეკლათ, მაშინათვე მისცვივნიან ფულის ამოსაღებად, მაგრამ მოჯამაგირე ლეკს, რომელიც იმ დროს თან ჰხლებია, არვინ არ მიეშვა ახლო და დაეწყო თოფის სროლა. ამასობაში მიშველებოდნენ მგზავრები. დღეს გამომძიებელი, ბოქაული და ექიმი იქ არიან გამოსაძიებლად და მკვლელების დასაჭერად, რომლებიც გაქცეულან კიდეც.

პუკიის შვილი

⁂ **გურია.** ცემა-ტყეპის მოტრფიალენი. გურიაში თავისუფლად წერა შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც ყოველი ზნეობრივად დაცემული ადამიანი გაურბის თავის სისაძაგლის გამომჟღავნებას და თუ ვინმემ ამხილეთ მისი ავ-კაცობა, იგი ცდილობს თუ არ კალმით, მკლავით მაინც გაუსამართლდეს საბრალო მოამბეს. თუ თვითონ ვერ შესძლო გასწორება, სულ ერთია სხვას იშოვის და ორ-სამ მანეთად ცხვირ-პირს ჩაამტვრევინებს. ასეთი ახალგაზდები, რომლებიც მზათ არიან ორი-სამი მანეთის გულისთვის ადამიანს თავი გაუჩეხონ, გურიაში მრავალია. ან რა გასაკვირველია ისეთი ახალგაზდებისაგან, რომლებიც არც მუშაობენ, არც სამსახურში არიან, არავითარი საქმე მათი ხელიდან არ გამოდის და თუ ვინმემ ფული დაანახვა, როდესაც გროში კაპიკი ენატრება, რასაკვირველია, ბევრს მიბეგვ-მიჯოხავენ.

ერთი ამგვარი მაგალითი ამ დროებით გურიის ერთს საუკეთესო განათლებულს დაბაშიაც მოხდა. აი საქმე როგორ იყო: ერთმა აქაურმა ახალგაზდამ, რომელიც მთელი წლობით უსაქმურად დაეხეტება და სულ იმის ფიქრშია, ვის რა წავართვა, ვის რა ვუყო, რომ ფული დავსტყუოვო,—შუადღეზე სილა უთავაზა ერთს ახალგაზდა მოამბეს და მიიმალა!

ახლა იკითხავთ რის გულისთვის დაარტყაო! ამის პასუხი თვით გალახულმაც ვერ მომცა, რადგანაც თვითონაც ვერ მიმხვდარიყო გალახვის მიზეზს. შემდეგ-კი, როგორც ლაპარაკიდან გამოირკვა,

ვითომც ერთს მანდილოსანს შეესახელებინოს ხსენებული მკლავაძე, რადგანაც რამდენიმე თვის წინად თითქოს გალახულს გაელანძღოს გაზეთის საშუალებით ხსენებული მანდილოსანი და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, გაალახვინაო.

ასეა თუ ისე, საჭიროა ამ ამბავს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, თორემ უსაქმური ახალგაზდები საქმეს გაიჩენენ და ორიოდე გროშის გულისთვის დღეს თუ თავში დაარტყეს ერთს, ხვალ მეორეს დასჭრიან და ზეგ შეიძლება კიდევაც მოჰკლან.

გორისგვერდელი გაბო

*** **ს. ღანირი** (ქვემო იმერ.). **სწავლა-განათლების წყურვილი.** ჩვენი სოფელი დიახაც რომ დიდია, მაგრამ საუბედუროდ ერთ-კლასიანი სკოლა ვეღარ აკმაყოფილებს ყველა მსურველთ. საჭიროა მეორე სკოლაც დაარსდეს. წინად მამა ნესტორ გალდავას დიდხანს ჰქონდა საკუთარ სახლში გამართული სკოლა, მაგრამ ეხლა დახურულია. ნეტავი სამრევლო სკოლას გახსნიდენ ჩვენს სოფელში და ცოტათი მაინც ხელს შეუწყობდნენ გლეხ-კაცობას, რომელიც მოწადინებულია სწავლას.

ივ. მიქაძე

*** **ბათომი.** **ქართული ეკკლესია.** არ იქნა, არ გვეღირსა ქართველებს საკუთარი ეკკლესია ბათომში ქართული წირვა-ლოცვით და ქადაგებით. ვსთხოვთ საეკკლესიო კომისიას, კეთილ ინებოს და რაც შეიძლება მალე სისრულეში მოიყვანოს ერთხელვე დაწყებული საქმე. საეკკლესიო ადგილზე დღეს უკვე ორი ურემი ქვა არის მოტა- მხოლოდ მეტის მომტანი-კი არსაით სჩანს, სამწუხაროდ.

— **კარგი განკარგულება.** ადგილობრივი პოლიცმეისტრის განკარგულებით დღეს ბათომში ძრიელ კარგი კანონი სუფევს: კვირა-უქმეებში მუდამ აკეტინებენ მაღაზიებს და დუქნებს; უწინ ამნაირი კანონი არ იყო, ვაჭრები თავის ნებაზედ იყვნენ გაშვებული და დღეს, თვით-ნებობას დაჩვეულნი, ვერ შესთვისებიან ახალ განკარგულებას; ერთხანს ისინი ისევ ძველებურათ აღებდნენ დუქნებს ჩუმჩუმათ, მაგრამ, როდესაც გამოვიდა ბრძანება პოლიცმეისტრისა, რომ ვისიც მაღაზია ნახოთ კვირა დღეს ღია, დააკეტინეთ და პატრონი ერთ დღე და ღამით სატუსაღოში დაამწყვდიეთო, მაშინ ყველანი შეშინდნენ და დაემორჩილნენ კანონს.

— **ამინდები.** წელს ბათომში ისე გაიარა ზაფხულმა, რომ თითქმის არ შეგვიტყვია, მუდამ გრილი დარები და ხშირათ წვიმები იყო, ამიტომ მშვიდობა არის ყოველთა...

ლანჩხუთელი ვანო

*** **ს. შემოქმედი** (გურია). **წიგნთ-საცავის საქმე.** აგერ ორი წელიწადია, რაც შემოქმედში წიგნთ-საცავი დაარსეს. უწინ, ნებართვის აღებამდე სულ ამას გაიძახოდნენ: „ბატონო, მოგვცენ დაარსების უფლება და ჩვენ ვიცით, როგორ ავაყვავებთო“. მაგრამ როდესაც დაუდგათ სანატრელი წამი და აიღეს ნებართვა, ერთ ორ დღეს კი ბაასობდნენ განათლების ამყვავებელნი და შემდეგ საქმე გვერდზე მიაგდეს. „ვის სცალია, ამბობენ, წიგნის საკითხავად. ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს. იმისთვის კი არ დაგვიარსებია ჩვენ სამკითხველო, რომ მუდამ შიგ ვისხდეთ და თავჩაღუნულნი ვკითხულობდეთ, არამედ ის შნოს აძლევს სოფელს და ჩვენც სხვების თვალში პატივი გვემატებაო“. ასეთი პატრონების წყალობით წიგნთ-საცავი დღეს უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი — შიგ არ არსებობს არავითარი წეს-რიგი. შარშანდელი ამ წლის ჟურნალებთან არის არეულ-დარეული. დღიურ გაზეთს აქ ხომ თავის დღეში ვერ შეხვდები მეტადრე წრეულს, როცა ჩვენ სოფელში ერთობ გამრავლდა მოაგარაკეთა რიცხვი, ბევრს სამკითხველოში შესვლა ეზარება და ჟურნალ-გაზეთები პირდაპირ სახლში მიაქვს. დააბრუნებენ შემდეგ თუ არა, ისიც საკითხავია. იმათი წაბაძულობით აქაური ვაჭრებიც თავის დახლში ხსნიან სამკითხველოს და თუ ვინმემ ამ დროს რამე იყიდა, მაშინვე ჩვენი მკითხველი ვაჭარი გაზეთში გამოუხვევს ნაყიდს და ისე გაატანს მუშტარს. წიგნებით ხომ აგერ ორი თვეა ვეღარ ვსარგებლობთ, რადგან განჯინის კლიტე დიდი ხანია დაიკარგა. თვითონ წევრები, რომელთა რიცხვი 40—50 საკმარისია, აქეთ-იქით გაიფანტნენ და ფული მათ შორის მხოლოდ ორსამს შემოუტანიათ და ისიც არა სრულად. ასე თუ ისე ჩვენი წიგნთ-საცავი საუკუნოთ განისვენებდა, რომ ერთი ან ორი პირი მისთვის არ ზრუნავდეს. მაგ. ავიღოთ ეკატერინა გურიელისა, რომლის თაოსნობით ოზურგეთში სცენის მოყვარე დასმა დასდგა წარმოდგენა და 50 მან. მშრალათ ფული გადასდო წიგნთ-საცავის სასარგებლოთ. ნაცვლათ იმისა, რომ ჩვენებურებს უფრო წაექეზებინათ, მადლობა გამოეცხადებინათ მისთვის, ამათ ყაყანი დაიწყეს. ჩვენ კი ჩვენდა თავად დიდ მადლობას ვუძღვნით პატიოსან ადამიანს და ვისურვებთ, რომ მას გაეგრძელებინოს თავისი ქველ-მოქმედება, მიუხედავად ჩვენებურ ჭორებ-შაირებისა.

tusci

*** **ს. ჭობისხევი** (ქართლი). **უცნაური მკვლელობა.** ჭობისხევის მცხოვრებლებს არჩეული ყავდათ მეველედ ალექსი შიოს ძე ედილაშვილი, რომელიც იცავდა სათიბებს და სხვა ნათესობას. 25 ივლისს მეველე ედილაშვილმა დაიჭირა რვა სული საქონელი სათავეში ადგილობრივ მცხოვრებლის ბესო მახარაშვილისა და დაამწყვდია ბაკში. ეს რომ გაიგო მახარაშვილმა გაუგზავნა თავისი შვილი გიორგი, რომელსაც გაატანა ერთი მანათი და შეუთვალა ედილაშვილს საქონელი გამოეშვა და წანახედისა ერთი მანათი ეღო. ედილაშვილმა დაუწყო თხოვნა სულზე მანათი მამიტანეთ და საქონელს გამოუშვებო. ეს პასუხი რომ შვილმა მამას მოუტანა, მახარაშვილს გულმა აღარ მოუთმინა, აიღო ჯოხი და წავიდა ედილაშვილთან შვილითურთ. მივიდნენ თუ არა მახარაშვილმა პირდაპირ ბაკს მიმართა, სადაც იყო დამწყვდეული საქონელი და მოინდომა ძალით გამოშვება, ედილაშვილმა შეასწრო თვალი, რომ საქონელს უშვებდა, გაექანა გულ-მოსული და დაუწყო ცემა მახარაშვილსა. ამ უკანასკნელმაც არ დაუთმო და შვილიც მოეშველა. ეს ხმაურობა გაიგონა ლექსო ლომსაძემ, მიიჭრა საჩქაროდ და გააშველა. გაშველებისთანავე მახარაშვილი კიდევ ბაკისკენ გაიქცა, დაინახა რა ედილაშვილმა, საქონლის წართმევას მიპირებენო, შევარდა სახლში, შემოირტყა ხანჯალი, აიღო ხელში გატენილი თოფი და გამოვარდა კარში, დაინახა მახარაშვილი ბაკში და უარესად აღელდა, გაიმართა თოფი ხელში და დაუძახა: „გამოდი, თორემ გესვრიო“; იქვე მდგომი ლექსო ლომსაძე ჩადგა ბაკის კარებში და დაუწყო ხვეწნა ორთავეს — დამშვიდებულიყვნენ. ედილაშვილმა აღარ დაიშალა, გაისროლა თოფი და მახარაშვილის მოსახვედრი ტყვია მოხვდა მშვიდობის მოციქულს. საბრალო ლექსო ლომსაძეს გულში და იქვე გაგმირული დაეცა საცოდავი. დაინახეს თუ არა წაქცეული კაცი, მახარაშვილები გამოვარდნენ ბაკიდან და გაიქცნენ, ედილაშვილმა თოფი დააგდო, იძრო ხანჯალი და გამოეკიდა მახარაშვილებს, მაგრამ იმათ გაასწრეს და შემდეგ ედილაშვილი დაბრუნდა სახლში. ამის შესახებ ადგილობრივ მობრძანდა სურამის გამომძიებელი და შეუდგა გამოძიებას.

ხეუბნელი

*** **დ. სურამი.** **ცეცხლის გაჩენა.** ოთხს ამ აგვისტოს ღამის 1 საათზე, როდესაც ხალხი მძინარე იყო, ვიღამაც მტრობით გაუჩინა ცეცხლი საბძელს, არშაკა ხუბეროვისას, რომელი საბძელიც შიგ სურამში სდგას და გარშემო სახლები ახვევია. ცეცხლი რომ გაძლიერდა, გადავიდა ალი და იქვე მდგომ ბეღელს აღალო აკოფოვისას წაეკიდა. საბძელი თივით იყო სავსე და როცა ქარმა შემოუბერა, ცეცხლი უარესად გაძლიერდა. ეს ცეცხლი შეამჩნიეს სურამის იასაულებმა, რომლებიც დადიოდნენ აქაური მამასახლისის წინამძღოლობით, მამასახლისმა მაშინვე ზარები დაარეკინა, რომლის ხმაზედაც მოეშველა ხალხი და ჯარი და რის ვაი-ვაგლახით გადაარჩინეს გარეშემოხვეული სახლები. ამისთანა ჩუმათ ცეცხლის გაჩენა პირველი არ არის სურამში. ძალიან კარგი იქნება ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა პოლიციამ და შუა სოფელში საბძლების აშენების ნება არავის მისცეს.

ხეუბნელი

*** **ქუთაისი.** **ცეცხლის გაჩენა.** ოთხშაბათს, ნაშუაღამევის პირველ საათზე ცეცხლი გაუჩნდა მიქიაშვილის და კახეიას ქარხანას, რომელიც იმყოფებოდა გიმნაზიის გვერდზე, დასავლეთით, რიონის ნაპირას. ცეცხლი, როგორც ამბობენ, მტრობით არის გაჩენილი ვიღაც ბოროტი კაცისაგან. მაშინვე ზარების რეკამ შეჰკრიბა აუარებელი ხალხი, რომელიც სათვალისეირნოთ უფრო მოსულიყო, ვიდრე მოსახმარებლად, ალი ერთიანათ მოედო ქარისაგან გამხმარგაფიცხებულ ხე-ტყის მასალას. გაღვივებული ნაკვერჩხლები და ცეცხლის ნაპერწკლები შეუწყვეტლივ დატრიალობდნენ ჰაერში, რიონის მეორე მხარეზე აცვიდნენ სახლის სახურავებს და ცეცხლს უჩენდნენ, მაგრამ ყველგან სახლის სახურავებზე და აივნებზე შემდგარი იყო ხალხი და, სადაც ცეცხლი გაჩნდებოდა, უცბათ აქრობდნენ წყლით. ცეცხლმა იმსხვერპლა მთელი ხე-ტყე, რაც ქარხანაში ედგა და ოცდა-ათი თუმანის მოწაფეების სტოლები, რომელიც გიმნაზიისაგან ჰქონდა შეკვეთილი ქარხანას და დამზადებული ედგა შიგ. ზარალი რამდენიმე ათასი მანათისაა.

გიმნაზიის შენობაც ძლიერ საშიშ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ცეცხლის მქრობის რაზმის და გიმნაზიაში მოსამსახურე პირების თავგანწირულმა მხნეობამ, როგორც იყო, რამოდენიმე ფანჯრის მინების დამტვრევით გადაარჩინა ერთიანათ განადგურებას. არეულობის დროს ერთი ცეცხლ-მოკიდებული ხე დაეცა პოლიციის ბოქაულს თავ. მიქელაძეს და ძლიერ

დამავებული წაიყვანეს სახლში. ამ დროს, როდესაც ცეცხლის მქრობელი რაზმი მისეული იყო გიმნაზიის შენობაზე, ატყდა ერთი ზარების რეკა და ყვირილი რიონის მარჯვენა ნაპირზე და უცბათ ავარდა ალი იმ ადგილას, სადაც ბაღის ქუჩა უერთდება ფერმისას. ქარხანიდან წამოღებული ცეცხლი დასცემოდა ასათიანის სახლს, რომელიც ყავრით იყო გადახურული და ერთბაშათ მოედებოდა. ბ. პოლიცმეისტერმა მაშინვე ბრძანება გასცა ცეცხლის მქრობი მანქანა მიეშველებინათ მეორე მხარეზე. თუმცა გიმნაზიის ინსპექტორი, ბ. ვონცეხავიძე, ბევრი ეხვეწა ერთი მანქანა მაინც დაეტოვებინათ გიმნაზიისათვის, მაგრამ მეორე მხარეზე მეტი საჭიროება იყო და იქ მიაშველეს. რაზმის მოსვლამდის ცეცხლი რამოდენიმე სახლს გასჩენოდა. სწორეთ შესაზარავ სანახავი იყო, რომ პერანგის ამარა ქალი და კაცი, ძუძუ-მწოვარი ბავშვებით ხელში, დარბოდნენ და გულ-მოსაკლავათ ღრიალებდნენ: „გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანიო“. სულ ერთიანად გადაიწვა შვიდი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ასათიანისა, ჯაფარიძისა, კიზირიასი, ხულავასი, ახვლედიანისა და სხ. ერთი სახლის მეტი დაზღვეული არ ყოფილა არც სახლები და არც ქარხანა.

აქ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ცეცხლის მქრობი რაზმის მხნეობა, რომელიც შუაგულ ცეცხლში იყო მოქცეული, მაგრამ მოქმედებას მაინც თავს არ ანებებდა: როდესაც ალი მოედებოდათ ტანზე, მოუბრუნდებოდნენ თავს წყლის შესასხამ მილს, წყალს თავზე და ტანისამოსზე ისხამდნენ და ამნაირათ განაგრძობდნენ მოქმედებას. როდესაც დაინახეს, რომ ცეცხლ-მოკიდებულ სახლებს ვეღარ გადაარჩენენ, მათ თავი ანებეს და გვერდით მდგომ სახლებს მიაშველეს მანქანები, რომ ისინი მაინც გადაერჩინათ გამანადგურებელი სტიქიონისაგან. ამნაირათ სხვა სახლებზე აღარ გადაუშვეს ცეცხლი. თუ არ ამნაირი თავგამეტება რაზმის მხრით, მთელი ნახევარი ქუჩა გადაიბუგებოდა. დღეს, შუადღემდის, ცეცხლი კიდევ ეკიდებოდა სახლების კოჭებს და კარ-ფანჯრების ჩარჩოებს.

ამხანაგი

## ახალი რექტორი ტფილისის სემინარიისა

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად ნამყოფი არქიმანდრიტი გერმოგენი დანიშნულ იქმნა ამავე სემინარიის რექტორად, არქიმანდრიტის მამა სერაფიმის ალაგას, რომელიც ეპისკოპოსად იქმნა გადაყვანილ რუსეთში. არქიმანდრიტი მამა გერმოგენი (ერობაში გიორგი ეფრემის ძე დოლგანიოვი) ხერსონის გუბერნიის დეკანოზის შვილია. მამას უნდოდა, რომ შვილი მღვდლად გამოეზარდნა და ამიტომ, ოდესის სასულიერო სემინარიაში მისცა. ყმაწვილი კარგად სწავლობდა, მაგრამ მომავალი მღვდლობა არ მოსწონდა და ამიტომ მეხუთე კლასიდან გამოვიდა. შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში გათავების ეგზამენი დაიჭირა და იმავე წელს საიმპერატორო ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში შევიდა. 1889 წელს მაისის 9-ში გიორგი დოლგანიოვმა დაასრულა სწავლა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზედ. იმავე წელს 26 აგვისტოს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შევიდა და ბერად შედგომა განიზრახა.

1890 წელს 28 ნოემბერს ბერად იქმნა აღკვეცილი და სახელად გერმოგენი ეწოდა. როცა გერმოგენი მეოთხე კურსზედ გადავიდა, ხელ დასხმულ იქმნა მღვდელ-მონოზნად.

სასულიერო აკადემია მღვდელ-მონაზონმა გერმოგენმა 1893 წ. დაამთავრა და იმავე წელს შემოდგომაზე უწმ. სინოდის განკარგულებით დანიშნულ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. შარშან, 1897 წ. მამა გერმოგენმა არქიმანდრიტობა მიიღო. („ივ.“)

## რედაქციისაგან

**თიანეთში** ნ ა ე ს ა კ ო ვ ე ლ ს. თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება.

**სურამში** გ. ზ ა ნ ა ვ ე ლ ს. თქვენ მიერ მოწერილი ამბავი, უკეთესი იქნება, რომ ემცნეს ადგილობრივ ბოქაულს და ან სასამართლოს. გაზეთისათვის ამ ამბავს არავითარი აზრი არა აქვს.

**ჩოხატაურში** გ ი ო რ. დ ო ლ ი ძ ე ს. ადრესის გამოცვლა ღირს ორი აბაზი.

## თეატრის მატიანე

**დ. ნაგომარი** (გურია). ქართული წარმოდგენა. ოცდა ხუთს ივლისს, დ. ნაგომარში ადგილობრივ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა „და-ძმა“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მხოლოდ სამწუხაროდ, წარმომდგენლების უმეტესი და უმთავრესი ნაწილი საშინლად კოჭლობდა. უმთავრესს როლებს: ოტიას, მარინეს და გაიოზისას—მეტის-მეტად უფერულად ასრულებდნენ.

სამაგიეროთ ზედ მიწევნით კარგათ ასრულებდნენ დანარჩენ როლებს—განსაკუთრებით მშვენივრად და უნაკლოთ შეასრულა ფაშის როლი ბ-ნ დ. ჩხაიძემ და ადამიასი—თ. გრ. გუგუნავამ. აგრეთვე კარგები იყვნენ თავიანთ როლებში ბ. პ. კალანდაძე და ქ. ატატო ბებურიშვილისა, პირველი გიორგის და მეორე გადიასი. აგრეთვე კარგად და მწყობრად შეასრულეს რამდენიმე სიმღერები ტყვეებმა მეხუთე მოქმედებაში.

დამსწრე

## სასარგებლო ცნობა

კვერცხის შენახვა. რომ დიდხანს შეინახოთ კვერცხი და არ გაფუჭდეს, ამისათვის საჭიროა შემდეგი სულ უბრალო საშუალება იხმაროთ: უნდა გახსნათ 2 გირვანქა მარილი 5 ლიტრა (8 ბოთლი) წყალში და ადუღოთ 20 წუთი; შემდეგ უნდა მიუმატოთ 2—3 კოვზი დამწვარი კირი. როდესაც ეს სითხე გაცივდება, უნდა ჩაასხათ კვერცხებით სავსე თიხის ჭურჭელში. ამ გვარად კვერცხი კარგად ინახება და რჩება სულ ახლათ თითქმის ნახევარს წლამდის.

## სხვა-და-სხვა ამბები

„მუშების მეგობარი“. ერთმა მოსკოველმა ელექტრო-ტეხნიკოსმა ა. ი. კოლოსოვმა გამოიგონა ახალი იარაღი, რომელსაც მან უწოდა „მუშების მეგობარი“. ამ იარაღის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ რაიმე უბედურების დროს ერთბაშად შეიძლებოდეს მანქანის გაჩერება. ამისათვის ეს იარაღი დაიდგმება მანქანებზე და საკმარისია, საჭიროების დროს, გასტეხონ მასში შუშა და მანქანაც იმ წამსვე შეჩერდება. პირველად ამ იარაღს სცდიან მოსკოვის ერთ-ერთ სააბრეშუმო ქარხანაში. ამ ჟამად იარაღის გამომგონი უკვე ცდილობს მიიღოს საჭირო უფლება-უპირატესობანი. თუ მართლა კარგი გამოდგა ახალი აღმოჩენა, ეჭვი არ არის, ძალიან გავრცელდება, რადგანაც დღემდე ჯერ კიდევ არ არის გამოგონილი არც ერთი ისეთი იარაღი, რომელსაც ერთ წამში შეეძლოს მანქანის გაჩერება და მიო მუშებს, თუ სულ ვერ აცდენს თავიდან, შეუმცირობს მაინც განსაცდელი.

—

მუშები ზღვის პირად. ბელგიის მუშების პარტია შეუდგა აგარაკის მოწყობას მუშებისათვის ზღვის პირად საუკეთესო საბანაო ადგილას. ამ მიზნისათვის შესდგა ამხანაგობა და მან უკვე იყიდა ადგილი ზღვაზე, ხოლო ამ მოკლე ხანში გამართავს საამხანაგო ფურნეს და სასტუმროს, სადაც მუშებს იაფ ფასად შეეძლებათ დაისვენონ რამდენიმე დღით მაინც ზღვაზე.

## განცხადებანი


ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—40)

**ქართული რვეულები**

დედა-ენასთან სახმარებელი, პირველი და მეორე ნომერი, იყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში; ფასი 4 კაპეიკი ვინც ასობით იყიდის, იმას თითო რვეული დაეთმობა $3\frac{3}{4}$ კაპეიკად. მყიდველებმა ქუთაისში უნდა მიმართონ ბეჟანეიშვილის მაღაზიას და ხონში ილ. ბახტაძის წიგნის მაღაზიას. (8—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ზ. ჭიჭინაძე), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია